ხელშეკრულება №37

(კონდიციონერების შეკეთების შესახებ)

ჭიათურა — ------- 2023წ

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაკა წერეთლის სახით და მეორეს მხრივ მერაბ ყურავა (პირ. №54001016836) შემდგომში „შემსრულებელი“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის ადმინისტრაციიის შენობაში დამონტაჟებული 4 (ოთხი) ერთეული კონდიციონერის ტექნიკური შეკეთება და ფრეონით დატუმბვა (CPV კოდი – 50710000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

„შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობები:

3.1. შემსყიდველი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს „შემსრულებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შესახებ.

3.2. მოსთხოვოს „შემსრულებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად გაწევა.

3.3. „შემსყიდველი” ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

„შემსრულებლის“ უფლება-მოვალეობები;

3.3. ტექნიკურად შეაკეთოს გაუმართავი კონდენციონერები;

3.4. დატუმბოს ფრეონით;

3.5. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა;

3.6. შეამოწმოს კონდენციონერის ტექნიკურად გამართულობა;

3.7. სამუშაოების განხორციელების პროცესში დაიცვას შრომის უსაფრთხოების წესები და ნორმები;

3.8. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ გარემოებათა შესახებ;

3.9. მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდი ანგარიშსწორებით, ლარში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების შესახებ გაფორმებული სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსრულებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2023 წლის 01 ივლისამდე.

5.2. მომსახურება გაწეული იქნება ეტაპობრივად „შემსყიდველის“ შეკვეთის/შეტყობინების საფუძველზე.

5.4. მომსახურება ჩაითვლება შესრულებულად მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ მიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 (ორი) კვირით ადრე.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. „შემსყიდველმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების საშუალებით მოაგვარონ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

9 .ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და საჯარიმო სანქციები

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში თუკი ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.
9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ვადა განისაზღვრება 2023 წლის 01 ივლისამდე;
11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 01 აგვისტომდე.

12. დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
12.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
საიდენ. კოდი: 215613254
მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №11

დირექტორი: NNLE UNITED KINDERGARTEN OF CHIATURA /მ. წერეთელი/

Digitally signed by NNLE UNITED KINDERGARTEN OF CHIATURA
Date: 2023.06.19 13:20:27 +04'00'

„შემსრულებელი“:

მერაბ ყურავა
პირადი №54001016836
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE93BG0000000100830151